



საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები

იხელმძღვანელებით კანონმდებლობით

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა საგადასახადო კოდექსში შემავალი ცვლილებები, მათ შორის:

- 269-ე მუხლს დაემატა მე-11 ნაწილი:
„საგადასახადო შემოწმების შედეგად დარიცხული ჯარიმების თანხების 50% უქმდება, თუ ამ საგადასახადო შემოწმების შედეგად წარმოშობილი საგადასახადო დავალიანება აღიარებულია და გადასახადის გადამხდელს საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში სრულად აქვს გადახდილი საგადასახადო შემოწმების შედეგად დარიცხული გადასახადები და ჯარიმების 50%.“
- 272-ე მუხლს დაემატა მე-2¹ ნაწილი:
„საურავის დარიცხვა წყდება მისი დარიცხვის ვალდებულების წარმოშობის დღიდან 3 წლის გასვლის თარიღიდან.“
- 274-ე მუხლის ახალი რედაქციის მიხედვით:
 - საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენისთვის ვადის დარღვევა (თუ 2 თვეს არ აღემატება), – იწვევს დაჯარიმებას ამ დეკლარაციის/გაანგარიშების საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხის 5%-ის ოდენობით ან 10%-ით დაჯარიმებას თუ პერიოდი 2 თვეს აღემატება.

- თუ საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხა წულის ტოლია, პირს ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა არ დაეკისრება.

➤ 275-ე მუხლის ახალი რედაქციის მიხედვით:

- თუ შემცირებული თანხა საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში მითითებული თანხის 5%-ს არ აღემატება, მაშინ ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება შემცირებული გადასახადის 10%-ის ოდენობით.
- თუ შემცირებული თანხა საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში მითითებული თანხის 5%-დან 20%-მდეა, ჯარიმის ოდენობა შემცირებული თანხის 25%-ს შეადგენს.
- სხვა შემთხვევაში ჯარიმის ოდენობა შემცირებული გადასახადის თანხის 50%-ია.
- საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში შესამცირებლად გამოანგარიშებული თანხის/დაბრუნებას დაქვემდებარებული თანხის გაზრდა განიხილება გადასახადის შემცირებად.
- 275-ე მუხლს დაემატა მე-5 ნაწილი:
- „5. საგადასახადო შემოწმების შედეგად 275-ე მუხლის შესაბამისად შეფარდებული ჯარიმების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საგადასახადო შემოწმების შედეგად გადასახდელად დარიცხული გადასახადების თანხების ოდენობას.“

დაგროვებითი სპენსიის შესახებ კანონი

2019 წლის 1 იანვრიდან, ყველა დასაქმებულისათვის, გარდა იმ დასაქმებულისა, რომელსაც ამ კანონის ძალაში შესვლამდე შეუსრულდა 60 წელი (ქალების შემთხვევაში – 55 წელი), სავალდებულო გახდა დაგროვებითი სპენსიო სქემაში მონაწილეობა;

დასაქმებული, რომელსაც ამ კანონის ამოქმედებამდე შეუსრულდა 40 წელი და რომელსაც არ სურს იყოს დაგროვებითი სპენსიო სქემის მონაწილე, უფლებამოსილია ამ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად უარი თქვას დაგროვებითი სპენსიო სქემაში მონაწილეობაზე;

თითოეული დამსაქმებელი ხელფასის გაცემისას როგორც საკუთარი, ისე სპენსიო სქემის მონაწილე დასაქმებულის სახელით, დაგროვებითი სპენსიო სქემის მონაწილე თითოეული დასაქმებულის ინდივიდუალურ სპენსიო ანგარიშზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით ახორციელებს შენატანს მასზე გასაცემი დასაბეგრი ხელფასის ორი (2) %-ის (ჯამურად კი – 4%-ის) ოდენობით;

დაგროვებითი სპენსიო სქემის თითოეული მონაწილის სასარგებლოდ, მონაწილის წლიური ხელფასის ჯამური რაოდენობის მიხედვით, სახელმწიფო მონაწილის ინდივიდუალურ სპენსიო ანგარიშზე გადარიცხავს დასაბეგრი ხელფასის ორ (2) ან ერთ (1) %-ს, ან არ ახორციელებს სპენსიო შენატანს.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №281/04

2018 წლის 24 დეკემბერს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა დაამტკიცა ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულება, რომლის მიხედვით, ფინანსურმა ინსტიტუტმა ფიზიკურ პირს არ უნდა დააკისროს სასესხო ან სხვა ვალდებულება (მაგ. თავდებობა) პირის გადახდისუნარიანობის შესწავლის გარეშე.

რეგულირება ვრცელდება ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ყველა სესხის გამცემ ორგანიზაციაზე, რომლებიც ვალდებულები არიან სესხის გაცემისას შეაფასონ მომხმარებლის შემოსავალი, უზრუნველყოფის ღირებულება და გასცენ სესხი, რომლის ყოველთვიური გადასახდელი და უზრუნველყოფის ღირებულება ამ დებულებით დადგენილ ზღვრებს არ აღემატება. ზღვრები განსხვავებული იქნება ადგილობრივი და უცხოური ვალუტის სესხებისთვის, რაც მიზნად ისახავს მსესხებლების და ფინანსური სისტემის დაცვას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობით გამოწვეული რისკებისგან.

დებულება სესხის გამცემი ყველა ორგანიზაციისათვის ერთდროულად, 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა.

„დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის მიზნით საგადასახადო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დანერგვის შესახებ“ მრავალმხრივი კონვენციის რატიფიცირება

2018 წლის 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება პარიზის 2016 წლის 24 ნოემბრის „დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის მიზნით საგადასახადო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დანერგვის შესახებ“ მრავალმხრივი კონვენციის რატიფიცირების თაობაზე.

ამ ეტაპზე დღის წესრიგში დგას მრავალმხრივი კონვენციით გათვალისწინებული მხოლოდ მინიმალური სტანდარტების იმპლემენტაცია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში, ხოლო დანარჩენ დებულებებზე შესაბამისი დათქმების გაკეთება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მრავალმხრივი კონვენციის ხელმოწერისა და რატიფიცირების შედეგად, საქართველოს მიერ გაფორმებულ და ძალაში შესულ ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების ძირითად ნაწილს დაემატება სხვადასხვა დებულებები კონვენციიდან.


საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:



გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი
gtavartkiladze@deloitte.ge



გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის უფროსი
gkhurodze@deloitte.ge

თბილისი

ბიზნეს ცენტრი King David

მერაბ ალექსიძის ქ. 12, მე-15 სართული
თბილისი, 0171,
საქართველო

Tel: +995 (32) 224 45 66

Fax: +995 (32) 224 45 69

deloitte.ge

deloitte.ge

დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 286 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](#), [LinkedIn](#), [Twitter](#).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.